მაიკლ დრუკმანი

მაიკლ დრუკმანი 2010 წლიდან საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის უკრაინის ოფისში მუშაობდა. ამჟამად ზედამხედველობს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის სხვადასხვა დონორის დაფინანსებით შექმნილი პროგრამების პორტფოლიოს უკრაინაში, რომელიც უკრაინის მასშტაბით საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მხარდაჭერას, პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებას ისახავს მიზნად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობით. მაიკლს უკრაინის პროგრამის ოფიცრად მუშაობის გამოცდილება აქვს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის ყირიმის ოფისში და ის ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებში. 2010 წლიდან აკვირდება უკრაინის არჩევნებს. მაიკლ დრუკმანი იყო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დამკვირვებელი ტუნისში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში გამართულ არჩევნებში.

მაიკლ დრუკმანი საგარეო ურთიერთობების საბჭოს ყოფილი წევრია და შეერთებული შტატების მშვიდობის კორპუსის მოხალისე იყო თურქმენეთში წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად. მან წარჩინებით დაასრულა პროვიდენსის კოლეჯი და მიიღო ბაკალავრის აკადემიური ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებებში, რა დროსაც მან აკადემიური კურსები დახურა ჩარლზის უნივერსიტეტსა და პრაღის ეკონომიკის უნივერსიტეტში ჩეხეთში. 2009 წელს მაიკლმა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი მოიპოვა. ის პოლიტიკური რისკებს აფასებდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონით დაინტერესებული ფინანსური საკონსულტაციო ფირმისთვის. რომელიც მაიკლი მუდმივად აქვეყნებს სტატიებს უკრაინისა და შავი ზღვის რეგიონის თემებზე ისეთ გამოცემებში, როგორებიცაა: ბიზნესუკრაინა, ატლანტიკური საბჭოს უკრაინის ფოკუსი, კიევის პოსტი და უკრაინული სიმართლე.